ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 09/2015/2700

საფოსტო მომსახურების შესახებ

ქ. ლაგოდეხი 30.01.15 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიაურის საჯარო სკოლა . (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორი მ.შ ციური მაისურაძის .სახით, ხოლო

მეორეს მხრივ **შპს „საქართველოს ფოსტა“** (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი მისი ლაგოდეხის სერვისცენტრის N2700 მენეჯერი მადონა ტეფნაძის .სახით,ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1 **„საფოსტო მომსახურება“** – საფოსტო გზავნილების მიღება, დამუშავება, გადაზიდვა და ადრესატისათვის ჩაბარება, ამ ხელშეკრულებისა (მათ შორის მისი „დანართ(ებ)ით) და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

1.2 **„საფოსტო გზავნილი“** – ნებისმიერი გზავნილი, მათ შორის წერილობითი კორესპონდენცია და ამანათი, ხოლო დაჩქარებული ფოსტით/EMS მომსახურების შემთხვევაში, აგრეთვე კორესპონდენცია, დოკუმენტაცია და საქონელი.

1.3 **„წერილობითი კორესპონდენცია“** – საფოსტო გზავნილის სახეობა, რომელსაც მიეკუთვნება წერილები, საფოსტო ბარათები, ბეჭდვითი გამოცემები და მცირე პაკეტები.

1.3.1. „წერილი“ – წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც შეიცავს ქაღალდზე დატანილ ტექსტს/დოკუმენტს, რომლის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო წონა არ აღემატება 2 კილოგრამს.

1.3.2. „საფოსტო ბარათი“ —წერილობითი კორესპონდენციის სახეობა, რომელიც განთავსებულია სპეციალურ მხატვრულ ბლანკზე და კონვერტის გარეშე, ღია სახით იგზავნება, ხოლო წონა 100 გრამს არ აღემატება.

1.3.3. „ბეჭდვითი გამოცემა“ – წერილობითი კორესპონდენციისსახეობა, რომელიც გულისხმობს ბეჭდვის საშუალებით გამრავლებულ იდენტურ ეგზემპლიარებს, მათ შორის: წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს, ალმანახებს, კრებულებს და სხვა, რომლის წონაც არ აღემატება 5 კილოგრამს.

1.3.4. „მცირე პაკეტი“ – წერილობითი კორესპონდენციის სახეობა,რომლის შიგთავსი შეიცავს ბეჭდვით მასალებს, დოკუმენტებს, ხელნაწერებს და ფოტოსურათებს, აგრეთვე სხვა გზავნილებს, რომელთა გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო წონა არ აღემატება 4 კილოგრამს.

1.4. **„ამანათი“** – საფოსტო გზავნილის სახეობა,რომლის შიგთავსიც შეიძლება იყოს 50 კილოგრამამდე წონის ნებისმიერი საგანი,თუ მისი გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მოქმედკანონმდებლობას.

1.5. **„ადრესატი“**- იურიდიული ან ფიზიკური პირი ვისაც ეგზავნება და ვისზეც დამისამართებულია საფოსტოგზავნილი;

1.6. **„ადგილობრივი საფოსტო გზავნილი“** - საფოსტო გზავნილი, რომელიც მიიღება და ადრესატს ბარდება საქართველოს ფარგლებში;

1.7. **„საერთაშორისო საფოსტოგზავნილი“** - საფოსტოგზავნილი, რომელიც იგზავნება სხვა სახელმწიფოში ადრესატისთვის ჩასაბარებლად, ან/და მიიღება სხვა სახელმწიფოდან, საქართველოში მყოფი ადრესატისთვის ჩასაბარებლად.

1.8. **„რეგისტრირებული (შეკვეთილი)საფოსტოგზავნილი“** – განცალკევებულად რეგისტრირებული საფოსტოგზავნილი, რომლის მიღებაც დასტურდება შემსრულებლისმიერ და მას ენიჭება მაიდენტიფიცირებელი ნომერი;

1.9. **„სააბონენტოსაფოსტოყუთი“** - წერილობითი კორესპონდენციის გარკვეული სახეობების დამკვეთისათვის

ტო საგადახდო ნიშნები " – საფოსტო მარკები, მარკირებული კონვერტები და საფოსტო ბარათები.

ალმთიანი რეგიონები" – მესტია, ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ასპინძა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ტყიბული, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი, ჩახატაური, თერჯოლა, ქედა, შუახევი, ხულო.

1.12. **„საკურიერო საფოსტომომსახურება"** - საფოსტო მომსახურების სახეობა, რომელიც გულისხმობს შემსრულებლის მიერ მისი ქსელის საშუალებით საფოსტო გზავნილების მიღებას, დამუშავებას ,გადაზიდვას და ადრესატისთვის სწრაფად ჩაბარებას პრინციპით "დამკვეთის კარიდან ადრესატის კარამდე";

1.13.**„მოქმედი კანონმდებლობა"** – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, აგრეთვე მსოფლიო საფოსტო კავშირის აქტები, ფოსტის სფეროში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

1.14.**„სამუშაო დღე"** – შემსრულებლის შიდა დოკუმენტით (რეგულაციით) განსაზღვრული სამუშაო დღეები, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების გარდა.

1.15.**„ტარიფი"** - საფოსტო მომსახურების პროდუქტის მისაღებად განსაზღვრული საფასური/ღირებულება.

1.16. **„მესამე პირი"** – ნებისმიერი პირი, გარდა დამკვეთისა და შემსრულებლისა;

1.17. **„მხარე/მხარეები"** – „შემსრულებელი ან/და დამკვეთი, ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსრულებელი, დამკვეთის სურვილის გათვალისწინებით და შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, ახორციელებს ამ უკანასკნელის საფოსტო მომსახურებას, მუხლი 3-ით განსაზღვრული პროდუქტებით.

მუხლი 3. საფოსტო მომსახურების პროდუქტები

3.1. ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შემსრულებელი დამკვეთს სთავაზობს საფოსტო მომსახურების შემდეგ პროდუქტებს:

3.1.2. ადგილობრივი საფოსტო გზავნილების მომსახურება;

3.1.3.საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მომსახურება;

3.1.4. მომსახურება დაკავშირებული საფოსტო საგადახდო ნიშნების რეალიზაციასთან.

3.1.4. მომსახურება დაკავშირებული კონვერტების რეალიზაციასთან.

3.2. დამკვეთს უფლება აქვს ისარგებლოს შემსრულებლის მიერ პუნქტი 3.1.-ით შეთავაზებული ერთ-ერთი, რამოდენიმე, ან ყველა პროდუქტით.

მუხლი 4. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მომსახურება. დამატებითი სერვისები

4.1. შემსრულებელი ახორციელებს მხოლოდ რეგისტრირებული (შეკვეთილი) ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მომსახურებას.

4.2. დამკვეთს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს რეგისტრირებული (შეკვეთილი) საფოსტო გზავნილის მომსახურების ჩვეულებრივი ან სწრაფი (დაჩქარებული) რეჟიმი.

4.3. ჩვეულებრივი რეჟიმი გულისხმობს საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარებას შემდეგ ვადებში:

- ადგილობრივი საფოსტო გზავნილი – მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღე;
- საერთაშორისო საფოსტო გზავნილი, მიღებიდან 15 სამუშაო დღე.

4.4. სწრაფი (დაჩქარებული) რეჟიმი გულისხმობს საფოსტო გზავნილის მომსახურებას დაჩქარებულად, შესაძლო მოკლე ვადაში, რაც ადგილობრივი საფოსტო გზავნილის შემთხვევაში გულისხმობს მის ადრესატისათვის ჩაბარებას

ული ფოსტა/EMS სისტემის გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის ა, მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

დამკვეთს უფლება აქვს ისარგებლოს შემდეგი დამატებითი სერვისებით:
.1. საფოსტო გზავნილის დაზღვევა (ფასგამოცხადება);

4.5.2. საფოსტო გზავნილის ჩაბარება პირადად ადრესატისთვის;

4.5.3. გამგზავნის ინფორმირება(შეტყობინება), საფოსტო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარების შესახებ;

4.5.4. საფოსტო გზავნილის საკურიერო მომსახურება.

4.5.5. საფოსტო გზავნილის მიღებისა და მისი ადრესატისთვის ჩაბარების წესები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1–ში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. მომსახურება დაკავშირებული საფოსტო საგადახდო ნიშნების რეალიზაციასთან

6.1. დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებლისაგან შეიძინოს საფოსტო საგადახდო ნიშნები, კერძოდ: საფოსტო მარკები, მარკირებული კონვერტები და საფოსტო ბარათები.

6.2. საფოსტო საგადახდო ნიშნები დამკვეთის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემსრულებლის ქსელის საშუალებით საფოსტო გზავნილების გაგზავნის საფასურის გადახდის დადასტურების საშუალებად.

6.3. შესაძენი საფოსტო საგადახდო ნიშნების სახეობა, რაოდენობა და ფასი აღინიშნება ანგარიშფაქტურაში, რომელსაც დამკვეთისგან მიღებული შეკვეთის საფუძველზე გამოწერს და გაუგზავნის ამ უკანასკნელს შემსრულებელი. საგადახდო ნიშნების დამკვეთისათვის გადაცემა ხორციელდება მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ ანგარიშფაქტურით განსაზღვრული ფასის გადახდის შემდეგ.

მუხლი 7.მომსახურება დაკავშირებული კონვერტების რეალიზაციასთან

7.1. დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებლისაგან შეიძინოს კონვერტები, რომლის გამოყენებაც შეუძლია ნებისმიერი დანიშნულებით.

7.2. შესაძენი კონვერტის სახეობა და ფასი აღინიშნება დანართ #3-ში, ხოლო რაოდენობა - ანგარიშფაქტურაში, რომელსაც დამკვეთისგან მიღებული შეკვეთის საფუძველზე გამოწერს და გაუგზავნის ამ უკანასკნელს შემსრულებელი.

7.3. შესაძენი კონვერტის დამკვეთისათვის გადაცემა დასტურდება ამ უკანასკნელის უფლებამოსილი წარმომადგენლის ანგარიშ ფაქტურაზე ხელმოწერით.

მუხლი 8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1. შემსრულებელი ვალდებულია:

8.1.1.დამკვეთის სურვილის შესაბამისად, გაუწიოს მას მუხლი 3–ით განსაზღვრული პროდუქტებით მომსახურება.

8.1.2. სრულად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.
8.1.3. მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს დამკვეთს ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესახებ წერილობითი ინფორმაცია.
8.1.4. საფოსტო მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, აცნობოს დამკვეთს მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძველი.
8.1.5. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მომსახურებისას უზრუნველყოს:
ა) დამკვეთისაგან მიღებული საფოსტო გზავნილების უსაფრთხოების დაცვა;
ბ) დამკვეთისაგან მიღებული ადგილობრივი საფოსტო გზავნილის ადრესატისათვის დროული ჩაბარება;
გ) დამკვეთისაგან მიღებული საერთაშორისო საფოსტო გზავნილის გაგზავნა შესაბამის ქვეყანაში, მისი ადრესატისათვის ჩაბარების მიზნით;
დ) ადრესატის მიერ საფოსტო გზავნილის მიღებაზე უარის გაცხადების, ან დამკვეთის მიერ ადრესატის არასწორი მისამართის მითითებისას, ჩაუბარებელი საფოსტო გზავნილის (შესაბამისი აღნიშვნით) დამკვეთისათვის უკან დაბრუნება;

ამკვეთის საფოსტო გზავნილის დაზიანებით, ძარცვით, განადგურებით ან/და ქურდობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, შემსრულებლის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად.
საფოსტო საგადახდო ნიშნების რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების განხორციელებისას უნველყოს:

ა)საფოსტო საგადახდო ნიშნების გადაცემა დამკვეთისათვის, მასშემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მოახდენს მათი სარეალიზაციო ღირებულების ანაზღაურებას.

8.1.8. კონვერტების რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების განხორციელებისას უზრუნველყოს:

ა) ანგარის ფაქტურაზე ხელმოწერის შედეგად კონვერტების გადაცემა დამკვეთისათვის.

8.2. შემსრულებელს უფლება აქვს:

8.2.1. მოთხოვოს დამკვეთს:
ა) ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;
ბ) გაწეული საფოსტო მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;
გ)მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან შეუსრულებლობის გამო მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება;
დ) ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხების შესახებ და ნებისმიერ დროს ამ თანხების ინსპექტირება;
ე) საფოსტო გზავნილის გახსნა, თუ შემსრულებელი მიიჩნევს, რომ მასში შესაძლოა იყოს ის საგნები, რომელთა გაგზავნაც აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით;
8.2.2. მოქმედი კანონმდებლობით ან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას, ან დამკვეთის მიერ ამ ხელშეკრულებითა ან/და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე;
8.2.3. უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე, თუ დამკვეთმა ასეთი მომსახურების გაწევა მოითხოვა არასამუშაო დღის ან/და არასამუშაო საათის პერიოდში. აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაზე, როცა შემსრულებელი თანახმაა გასწიოს ამგვარი მომსახურება;
8.2.4. საფოსტო გზავნილების მომსახურებისას:
ა) იხელმძღვანელოს მის მიერ დადგენილი სამართლებრივ მიმართულებების შესაბამისად;
ბ) უარი განაცხადოს საფოსტო გზავნილის მომსახურებაზე, თუ მასზე არ არის ან არასრულყოფილად არის მითითებული გამგზავნის ან/და ადრესატის რეკვიზიტები: სახელი, მისამართი, საფოსტო ინდექსი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირი შემთხვევაში – საიდენტიფიკაციო კოდი.
გ) უარი განაცხადოს საფოსტო გზავნილის მიღებაზე, თუ ერთი გზავნილი დამისამართებულია სხვადასხვა ადრესატზე, ან ადრესატი დამისამართებულია სხვადასხვა მისამართზე.
8.2.5. საფოსტო საგადახდო ნიშნების რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურებისას:
ა)მთლიანად ან ნაწილობრივ უარი განაცხადოს საფოსტო საგადახდო ნიშნების რეალიზაციაზე, თუ დამკვეთის მოთხოვნის მომენტისათვის მას არ გააჩნია შესაბამისი რაოდენობისა და სახეობის საფოსტო საგადახდო ნიშნები.
8.2.6. კონვერტების რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურებისას:
ა)მთლიანად ან ნაწილობრივ უარი განაცხადოს კონვერტების რეალიზაციაზე, თუ დამკვეთის მოთხოვნის მომენტისათვის მას არ გააჩნია შესაბამისი რაოდენობისა და სახეობის კონვერტები.

8.3. დამკვეთი ვალდებულია:
8.3.1. სრულად დაიცვას მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები;
8.3.2. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით განახორციელოს საფოსტო მომსახურების შესაბამისი ღირებულების ანაზღაურება შემსრულებლისათვის;
8.3.3. შემსრულებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია გადარიცხული თანხების შესახებ;
8.3.4. აუნაზრაუროს შემსრულებელს მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, აგრეთვე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების არაკეთილსინდისიერი, არაჯეროვანი ან შეუსრულებლობით მიყენებული ზარალი;
8.3.5. არ გააგზავნოს ან/და მიიღოს ისეთი საფოსტო გზავნილი, რომლის შიგთავსიც შეიცავს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულ საგნებს;

8.3.6. შეასრულოს შემსრულებლის კანონიერი მოთხოვნები;

ად დაიცვას საფოსტო გზავნილების გაფორმების, მომზადებისა და შემსრულებლისათვის მათი გაცემის

საფოსტო გზავნილის საკურიერო მომსახურებისას, დაუბრკოლებლად გაატაროს თავის შენობაში
ულებლის წარმომადგენლები, ან გასცეს შენობაში შესვლის მუდმივი საშვი;
9. შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოყოს საკონტაქტო პირი: სახელისა და გვარის, პირადი ნომრის,
საკონტაქტო ტელეფონისა და ელ.ფოსტის მითითებით.

8.4. დამკვეთს უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს შემსრულებელს:

ა) ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერი და ჯეროვანი შესრულება;

ბ) გაწეული საფოსტო მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის ან/და მისი ამსახველი დოკუმენტაციის ქსერო ასლების წარმოდგენა;

გ) საფოსტო გზავნილის დაზიანებით, ძარცვით, განადგურებით ან/და ქურდობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, შემსრულებლის მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად;

დ) ზეპირად ან წერილობით ინფორმაციის წარმოდგენა, საფოსტო გზავნილების მოძრაობასთან დაკავშირებით.

მუხლი 9. ტარიფები. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

9.1. ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილის მომსახურების ტარიფები მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართი #2–ში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.2. სარეალიზაციო კონვერტების ტარიფები მათი ზომის გათვალისწინებით მოცემულია დანართ #3-ში.

9.3. ტარიფებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

9.4.თუ მხარეები გადაწყვეტენ ისეთი მომსახურების გაწევას, რომლის ტარიფიც არ იქნება განსაზღვრული დანართებით, მისი დადგენა განხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

9.5. ხელშეკრულების საორიენტაციო ფასი შეადგენს 100 (ასი) ლარს (დღგ-ს ჩათვლით), რაც გულისხმობს დამკვეთის შესაძლებლობას აღნიშნული თანხის ფარგლებში მიიღოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფოსტო პროდუქტებით მომსახურება , დანართ ##2 და 3–ში აღნიშნული ტარიფით და პუნქტი 13.1.–ით დადგენილ ვადაში.

9.6.. თუ დამკვეთის მიერ მოთხოვნილი მომსახურება აღემატება პუნქტი 9.6.–ში აღნიშნულ ფასს, ან დამკვეთი არ ისარგებლებს აღნიშნული ფასის მომსახურებით პუნქტი 13.1.–ით დადგენილ ვადაში, მხარეები ურთიერთშეთანხმებით გააფორმებენ ახალ ხელშეკრულებას, განახლებული ფასითა და ვადით.

9.7. მხარეთა შორის ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მომსახურებასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება წარმოებს ყოველი თვის ბოლოს, საანგარიშო თვეში დამკვეთის სასარგებლოდ ფაქტობრივად განხორციელებული ასეთი საფოსტო მომსახურების ღირებულების შემსრულებლისათვის ანაზღაურებით. ანგარიშსწორება წარმოებს მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და ანგარიშფაქტურის დამკვეთისთვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.8. მხარეთა შორის საფოსტო საგადახდო ნიშნების რეალიზაციასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება წარმოებს წინასწარ, ანგარიშფაქტურის დამკვეთისთვის წარდგენიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.9. კონვერტების რეალიზაციასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება წარმოებს დამკვეთის მიერ ანგარიშფაქტურის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.10. ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში, თანხის შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

9.11. მხარეები ყოველი თვის ბოლოს, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო თვის 1 რიცხვისა ადგენენ მიღება- ჩაბარების აქტს, რომელშიც აღინიშნება თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების შესახებ, მისი ღირებულების მითითებითა და დამკვეთის მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხების შესახებ.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

ები სრულად აგებენ პასუხს მათ მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი ების შემთხვევაში ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალისათვის, ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი დებლობით დადგენილი წესით.
ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის, ან არასრულად შესრულების შემთხვევაში, არეს, რომლის ინტერესიც დარღვეულია, უფლება აქვს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების (საფოსტო გზავნილის გაგზავნის ღირებულების, ან გადასახდელი მომსახურების თანხის) ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
10.3. ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება, თუ ხელშეკრულების პირობების დარღვევა გაგრძელდება 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

მუხლი 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
11.2. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ:წყალდიდობა, დიდთოვლობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ემბარგო, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა გარემოებები.
11.3. თუ ნებისმიერმა ზემოთხსენებულმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.
11.4. მხარე, რომელიც მიუთითებს დაუძლეველი ძალის გარემოებაზე, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მას ხელი შეუშალადაუძლეველი ძალით გამოწვეულმა გარემოებებმა. ამასთან, იგი არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების სხვაიმ ვალდებულებათა შესრულებისგან, რომელთა შესრულებასაც ხელს არ უშლის დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებები.
11.5. მხარე, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო, ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. არასაპატიო მიზეზით შეუტყობინებლობა ან/და დაგვიანებული შეტყობინებაართმევს უფლებას მხარეს დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.
11.6. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
11.7. მხარე ვალდებულია დაუძლეველი ძალის დასრულების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მეორე მხარეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დასრულებიდან.
11.8. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 (ოცდა ათ) დღეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების ბედი; თუ მხარეები ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, დავა განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 12. პრეტენზიები. დავის გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა პრეტენზია განხილული უნდა იქნეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მხარის მიერ პრეტენზიის წერილობითი ფორმით მიღების დღიდან.
12.2. საფოსტო გზავნილთან დაკავშირებული პრეტენზიები განიხილება მისი გასაგზავნად მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში.
12.3. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ ამ გზით შედეგი ვერ იქნება მიღწეული მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მხარეთა შორის დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

მუხლი 13. ხელშეკრულების ვადა და მისი ვადამდე მოშლა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებაძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს -30.01.15 .-.წლის ---- 31.12.2015წ .ჩათვლით.
13.2. თუკი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისათვის მხარის მიერ დაწყებულია, მაგრამ არ არის დასრულებული ნაკისრი ვალდებულების შესრულებულება, ხელშეკრულების შესაბამისი დებულებები იმოქმედებს მანამ, სანამ არ

ება ასეთი ვალდებულება სრულად. მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან თავის დაღწევის მიზნით, არ ლება დაეყრდნოს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ფაქტს.
ინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება მოიშალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
. თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება პუნქტი 13.3.–ით გათვალისწინებული წესის აუცველად, თუ მეორე მხარე დაარღვევს დაკისრებულ მოვალეობას, შესაბამისი მხარე განუსაზღვრავს მას გონივრულ ვადას დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო დამრღვევი მხარე ვერ უზრუნველყოფს დადგენილ ვადაში დარღვევის გამოსწორებას.

მუხლი 14.დასკვნითი დებულებები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ იგი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
14.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
14.3. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები სარგებლობენ მოქმედი კანონმდებლობით.
14.4. მხარეები ვალდებულნი არიან იხმარონ ყველა ღონე, რათა ხელშეკრულების მოშლის შედეგად არ მიაყენონ ერთმანეთს მატერიალური ზიანი.
14.5. მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულებისათვის, მხარეებმა შესაძლოა დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტას.
14.6. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების დაწყებიდან ძალადაკარგულად ცხადდება მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ყველა ზეპირი მოლაპარაკება ან/და წერილობითი შეთანხმება, ან მათი ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე ხელშეკრულებას.
14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი ითვლება მის განუყოფელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად .
14.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.
14.9. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღედ ითვლება მის პირველ გვერდზე აღნიშნული თარიღი.

<u>მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

„დამკვეთი"

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
სოფ ჭიაური საჯარო სკოლა

მის:ლაგოდეხის რ-ნი,სოფ,ჭიაური

სს „ლიბერთი ბანკი" ლაგოდეხის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22 :

ა/ნGE21LB0121113791832000ტელ: 577 255 461

ს/კ 233137851

დირექტორის მ.შ ----------/ც.მაისურაძე/

„შემსრულებელი"

შპს „საქართველოს ფოსტა"
მის: 0100 თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ბანკი: სს „პრივატბანკი"
ბანკის კოდი: CAVOGE22
ანგ. ნომერი:GE88TP0034080020000642
ს/კ: 203836233

ხელმოწერა ლაგოდეხის სერვისცენტრი N2700
მენეჯერი ----------/მ.ტეფნაძე/